ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 272

ქალაქი ქუთაისი 27 მაისი 2020 წელი

საქართველოში ახალი კორონავირუსით (COVID-19) გამოწვეული
სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, ქალაქ
ქუთაისში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის
მოსაკრებლის გადახდაზე შეღავათის დაწესების
თაობაზე

„ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, მე-4 მუხლის, „კომუნალური გადასახადების სუბსიდირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 3 აპრილის N220 დადგენილების საფუძველზე:

მუხლი 1. საქართველოში ახალი კორონავირუსით (COVID-19) გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის დახმარების მიზნით, ქალაქ ქუთაისში მცხოვრები ფიზიკური პირები, რომლებიც ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნიან საყოფაცხოვრებო, ან მუნიციპალურ ნარჩენებს, სრულად გათავისუფლდნენ „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღებისა და მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 მარტის N45 დადგენილებით ქალაქ ქუთაისში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის ერთ სულ მოსახლეზე განსაზღვრული მოსაკრებლის (0.50 ლარი თვეში) გადახდის ვალდებულებისაგან, 2020 წლის მარტის, აპრილისა და მაისის თვეებში.

მუხლი 2. ფიზიკურ პირებს, რომლებიც ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნიან საყოფაცხოვრებო, ან მუნიციპალურ ნარჩენებს და რომლებსაც უკვე გადახდილი აქვთ 2020 წლის მარტის, აპრილის ან/და მაისის თვეების დასუფთავების მოსაკრებელი, გადახდილი თანხა აესახებათ პირად სააბონენტო ბარათზე, გარდა ამ განკარგულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.

მუხლი 3. ფიზიკურ პირებს, რომლებიც ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნიან საყოფაცხოვრებო, ან მუნიციპალურ ნარჩენებს, უფლება აქვთ უარი განაცხადონ სუბსიდირებაზე.

მუხლი 4. ფიზიკურმა პირებმა, რომლებიც ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნიან საყოფაცხოვრებო, ან მუნიციპალურ ნარჩენებს, ამ განკარგულების მე-3 მუხლის შესაბამისად, სუბსიდირებაზე უარის თქმის შესახებ, განცხადებით უნდა მიმართონ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურის მეორად სტრუქტურულ ერთეულს - ეკოლოგიისა და მყარი ნარჩენების განყოფილებას.

მუხლი 5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 6. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,
საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის
შემსრულებელი ირაკლი შენგელია